№ 11797/05-3 "22" 12 2022

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ კახი ბექაურს

ბატონო კახი,

წარმოგიდგენთ სს „სილქნეტის" კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) და ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) დასრულების მომსახურების შეთავაზების წინადადებაში (მოწვევის ოფერტა) შესატან ცვლილებებს. ცვლილებები მოცემულია წინამდებარე წერილის დანართში.

გთხოვთ აღნიშნული ცვლილებები გამოაქვეყნოთ კომისიის ვებ გვერდზე

დანართი: 3 ფურცელი;

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი

შ-22-6/4690
22.12.22
4+1ფ

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილისქ. 95
ტელ.: (+995 32) 2 100000; ფაქსი: (+995 32) 2 100001
სს „სილქნეტი" ს/კ 204566978

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 100000; Fax: (+995 32) 2 100001
JSC „Silknet", I/C 204566978

ცვლილებები სს „სილქნეტის“ კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) და ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) დასრულების მომსახურების შეთავაზების წინადადებაში („მოწვევის ოფერტაში“)

1. შევიდეს ცვლილება სს „სილქნეტის“ „მოწვევის ოფერტაში“ და ქვემოთ მოცემული პუნქტები/ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.5. საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურება (საერთაშორისო A2P SMS) - საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურება/საერთაშორისო A2P SMS:

1.5.1. A2P SMS, რომელიც, მოიცავს ინფორმაციას/სარეკლამო განცხადებას საერთაშორისო კომპანიის ან/და მისი მომსახურების/პროდუქტის/მონაცემის ან/და ტრანზაქციის/მომსახურების/წვდომის/შეტყობინების შესახებ, რომლებიც შესრულებულია/წარმოდგენილია საერთაშორისო კომპანიის მიერ (მათ შორის საერთაშორისო კომპანიის მიერ დანიშნული მესამე მხარეების გამოყენებით);

1.5.2. A2P SMS, რომელიც, მოიცავს მითითებას/ბმულს დომენური ზონის web რესურსზე, რომელიც არ ეკუთვნის საქართველოს;

1.5.3. A2P SMS რომლის ანბანურ-ციფრული სახელის საფუძველზე, შეუძლებელია A2P SMS თავდაპირველი გამგზავნის/ინიციატორის ან/და მომსახურების/პროდუქტის/მიზნის/მომსახურების/პროდუქტის/ობიექტის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა, რომელთან დაკავშირებით A2P SMS იგზავნება;

1.5.4. A2P SMS, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო ელექტრონულ გადახდის სისტემას (მაგ.Visa, MasterCard, AmExpress და სხვა), საერთაშორისო ელექტრონულ საფულეს ან/და საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემას (მაგ WebMoney, Qiwi Wallet და სხვა.), ელექტრონული გადახდის დამუშავების საერთაშორისო პლატფორმას (მაგ PayPal და სხვა.), საერთაშორისო სოციალურ ქსელს (მაგ. facebook, vkontakte, Google+, odnoklassniki, twitter, instagram, fotostrana და სხვა), საერთაშორისო OTT აპლიკაციას (მაგ. Skype, Viber, WhatsApp და სხვა), საერთაშორისო ონლაინ თამაშს (მაგ. World of Tanks, Gameserver, mobitva.com და სხვა), ელექტრონული ფოსტის საერთაშორისო მომსახურებას ან/და ფაილის გაცვლის მომსახურებას ან/და საძიებო სისტემას (მაგ. Mail.Ru, Yahoo, Rumbler.ru, Google, dropmefiles, ifolder.su, exfile.ru, და სხვა) ან/და საერთაშორისო ტაქსის მომსახურებას (მაგ. Uber) ან/და საერთაშორისო ონლაინ მაღაზიას ან/და საერთაშორისო ონლაინ საცალო პლატფორმას (მაგ. Amazon, Ebay);

1.5.5. A2P SMS, რომელიც დაკავშირებულია ონლაინ დაჯავშნის საერთაშორისო მომსახურებებთან (მაგ. Booking, Airbnb და სხვა), საერთაშორისო ბანკთან (მაგ., Arab Bank) (ფინანსური დაწესებულებების გარდა, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიის შესაბამისად) და საერთაშორისო ავიაკომპანიასთან (მაგ. AirBaltic და სხვა);

1.5.6. A2P SMS, რომელიც იგზავნება (წარმოიქმნება) საერთაშორისო კომპანიების (მათ შორის ასეთი კომპანიის წარმომადგენლობის/აფილირებული კომპანიის, კომპანიის, რომელიც ახორციელებს საქმიანობებს კომპანიასთან იმავე ბრენდით/სასაქონლო ნიშნით, კომპანიას, რომელიც თანამშრომლობს კომპანიასთან ფრანშიზის პირობებით) მიერ, მოკლევადიანი (Starbucks, Burger King, Nescafe, L'Oréal, და სხვა) და გრძელვადიანი (Audi, Samsung, Bosch, IKEA, და სხვა) გამოყენების საქონლის გაყიდვასთან, ასევე მომსახურებების (DHL, Netflix, და სხვა) გაწევასთან დაკავშირებით;

1.5.7. A2P SMS, რომლებიც იგზავნება SMS gateway (მაგ. SMS-fly, TurboSMS, LetsAds, ePochta SMS და სხვა) მეშვეობით;

1.5.8. A2P SMS, რომელიც მოიცავს მობილური ქსელის ოპერატორების სახელებს, საქართველოში

რეგისტრირებული მობილური ქსელის ოპერატორების გარდა;

1.5.9. A2P SMS, რომლის ანბანურ-ციფრული სახელ(ებ)ი, რომლებშიც გამოიყენება საერთო სახელები /ტერმინები/დეფინიციები, რომლებიც არ იძლევა გამგზავნის (საბოლოო მომხმარებლის) ზუსტი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, მაგ. „SMS", „Info", „Verify", „NXSMS" და სხვა;

1.5.10. ნებისმიერი არასტანდარტული სახის SMS დასრულება, რომლის გამგზავნის სახელი სათანადო ფორმის დაცვით არ არის შეთანხმებული „სილქნეტთან".

1.5.11. საერთაშორისო კომპანია ნიშნავს კომპანიას (მათ შორის ასეთი კომპანიის წარმომადგენლობას/შვილობილ/აფილირებულ კომპანიას, კომპანიას, რომელიც ახორციელებს საქმიანობას საერთაშორისო კომპანიასთან იმავე ბრენდით/სასაქონლო ნიშნით, კომპანიას, რომელიც თანამშრომლობს საერთაშორისო კომპანიასთან ფრანშიზის პირობებით), რომელიც: ა) რეგისტრირებულია საქართველოს გარდა ნებისმიერ ქვეყანაში ან/და ბ) ახორციელებს საქმიანობას (ასევე წარმომადგენლობის / აფილირებული კომპანიის მეშვეობით) მსოფლიოს ორ ან მეტ ქვეყანაში ან/და გ) რომლის სათავო ოფისი/ცენტრალური ოფისი რეგისტრირებულია საქართველოს გარდა ნებისმიერ ქვეყანაში ან/და დ) რომლის მომსახურება / პროდუქტი, რომელთან დაკავშირებით იგზავნება A2P SMS, წარმოდგენილია მსოფლიოს ორ ან მეტ ქვეყანაში (ასევე წარმომადგენლობის / აფილირებული კომპანიის და/ან კომპანიის მეშვეობით, რომლებიც თანამშრომლობენ ფრანშიზის პირობების საფუძველზე ან იყენებენ იმავე ბრენდს / სასაქონლო ნიშანს)."

„5.3. არასტანდარტული სახის SMS მომსახურების ფარგლებში გაგზავნილ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს გამგზავნ ნომრად (A ნომერი) მითითებული უნდა ჰქონდეს კომპანიის/ბრენდის სახელები ან სხვა სიმბოლოების ერთობლიობა, რომელიც არ არღვევს რომელიმე პირის კანონიერ უფლებებს (შემდგომში - გამგზავნის სახელი). ამასთან, ასეთი სახელი არ უნდა იყოს მობილური ან ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურებისათვის გამოყენებული ნომრები (სტანდარტული ნუმერაციის რესურსი). „ოფერენტი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „აქცეპტანტს" გამგზავნის სახელების მისთვის („ოფერენტისთვის") წინასწარი შეტყობინება, ამ შემთხვევაში „აქცეპტანტი" ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს „ოფერენტს" გამგზავნის სახელები, „ოფერენტის" მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

5.4. „ოფერენტის" უფლებამოსილია დაადგინოს გამგზავნის სახელის მინიჭების/სარგებლობის საფასური, რომლის ოდენობაც განისაზღვრება მხარეთ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით/შეთანხმებით."

6.1. პუნქტის „ე" ქვეპუნქტი

„ე) სრულად შევსებული განაცხადი (დანართი #1), განაცხადი იგზავნება ელექტრონულად მისამართზე: carriers@silknet.com და ფოსტით მისამართზე: სს „სილქნეტი", წინამძღვრიშვილის #95, თბილისი, საქართველო;

„7.4. შემდგომი გადახდის სისტემის თანახმად: მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად, გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის შემდეგი თვის 10 (ათი) რიცხვისა. ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) დასრულების მომსახურებიდან გამომდიანრე მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად, გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტის საფუძველზე, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა.

7.5. მხარეებს შორის გაწეულ მომსახურებებზე ყოველთვიურად ფორმდება საოქმო გადაწყვეტილება. საოქმო გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების სახეები, მხარეთა კუთვნილი თანხები და საბოლოოდ გადასახდელი თანხა. საბოლოოდ გადასახდელი თანხა მოიცავს მოთხოვნა-ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვის შედეგად დარჩენილ თანხას, გარდა საავანსო ანგარიშზე არსებული თანხებისა (ბალანსის სახის მიუხედავად). ანგარიშსწორების ვადა განისაზღვრება საანგარიშო თვის მომდევნო თვის შემდეგი თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა (გარდა 7.4. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა). მხარეები ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის გამოყენებით უგზავნიან ინფორმაციას მათ

მიერ გაწეული მომსახურების შესახებ (გაწეული მომსახურების სახის, მისი ოდენობისა და საფასურის მითითებით) არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა (ოფერენტისთვის მონაცემების მიწოდება ხდება ელექტრუნული ფოსტის მისამართზე: invoices@silknet.com). აქცეპტანტის მიერ მონაცემების დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების შედგენა ხდება ოფერენტის მონაცემების საფუძველზე. ოფერენტი გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებას აქცეპტანტს უგზავნის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვისა, ხოლო აქცეპტანტი მის მიერ ხელმოწერილ ამავე საოქმო გადაწყვეტილების ერთ ეგზემპლარს ოფერენტს უბრუნებს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 (ოცი) რიცხვისა.

„11.9. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად და ოპერატიული რეაგირების მიზნით, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ოფერენტს გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიწოდებული „მომსახურება" (ურთიერთჩართვა) გამოყენებულია „ფროდის" მიზნით ან დაკავშირებულია „ფროდთან", ან/და ირღვევა წინამდებარე მუხლის 11.7.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა ოფერენტი იტოვებს უფლებას შეაჩეროს ზარების მიღება, ან/და ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებ(ებ)ის (SMS) გატარება, რის შესახებაც ოპერატიულად აცნობებს ურთიერთჩართულ პირს, კომისიას და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ასეთ შემთხვევაში, შესაბამის თვეში აქცეპტანტის მხრიდან შემოსული ტრაფიკი სრულად ჩაითვლება საერთაშორისო ტრაფიკად და დაერიცხება შესაბამისი საფასური.

11.10. ყველა აქცეპტანტი (ურთიერჩართული ავტორიზებული პირი), რომელიც სარგებლობს საერთაშორისო და ადგილობრივი ზარის და ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) ოფერენტის ქსელში დასრულების (ტერმინაციის) მომსახურებით, ოფერენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია გამოყოს და დააიდენტიფიციროს არხი („ტრანკი"), რომელიც გამოიყენება მხოლოდ საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებების SMS და ზარების ოფერენტის ქსელში დასასრულებლად. ამ არხის საშუალებით შემოსული ნებისმიერი ზარი ან/და არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებება (SMS) ჩაითვლება საერთაშორისოდ და დაერიცხება შესაბამისი საფასური, სს "სილქნეტის" კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და საერთაშორისო ზარ(ებ)ის დასრულების მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) და ხელშეკრულების/შეთანხმების შესაბამისად. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, საერთაშორისო ზარისთვის და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებებისთვის (SMS) გათვალისწინებული ტარიფის დარიცხვის გარდა, ოფერენტი ასევე უფლებამოსილია დაარიცხოს აქცეპტანტს ჯარიმა ასეთი ზარის ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) ღირებულების (საერთაშორის ზარის ან/და SMS ტარიფის) ოცმაგი ოდენობით. გარდა აღნიშნულისა, აქცეპტანტი რეგრესის წესით აუნაზღაურებს ოფერენტს ყველა იმ დანახარჯს, საურავს, სანქციას, ჯარიმას, ზარალს, რომლის გადახდაც მოუწევს ოფერენტს სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურებისთვის მის სისტემაში ასეთი ზარის ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) გატარებისათვის."

„13.5. წინამდებარე ოფერტის ძალაში შესვლის დღიდან, „ოფერტის" პირობებსა და „ოფერენტსა" და შესაბამის ავტორიზებულ პირს შორის გაფორმებულ, ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) დასრულების მომსახურების შესახებ დამატებითი შეთანხმების პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებულ პირობებს.„

2. „მოწვევის ოფერტით" გათვალისწინებული წინამდებარე ცვლილებები ძალაში შედის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნებიდან 2 (ორი) კვირის შემდეგ.